# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან ბულვარზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროებას“ და „ივერიას“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროებას“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერიას“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოთ ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.


პირველი საზოგადო კრება „სომხის ქველ-მოქმედი საზოგადოებას“ იქნება კვირას, 15 ნოემბერს, შუადღეზე, არწრუნის თეატრში საზოგადოების რჩევის წევრთა ამოსარჩევად.

საზოგადოების წევრად ჩაწერა შეიძლება „მშაკის“ და „მეღუს“ რედაქციებში ცენტრალურ და კავკასიის წიგნების მაღაზიაში და აგრეთვე ტატუროვის მაღაზიაში, კრების დღეს—თვითონ კრებაზედ.

საწევრო ფული ხუთი მანეთია.

## ტელეგრამმა

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 11 ნოემბერს. დღეს დილის ექვს საათზე გარდაიცვალა ღენერალ-ადიუტანტი ნეპოკოიჩიცკი.

**ბერლინი**, 10 ნოემბერს. პალატამ სოციალისტთა წესების საბუთით განაგრძო ერთი წლით სამხედრო მდგომარეობა ქ. ბერლინისა.

გაზ. „ახალი ამბები“ იწერება: მალე გამოვა განკარგულება ახალი ფორმის ტანისამოსისა რუსეთის ჯარისათვის.

## აწმყო და მომავალი ჩვენი სცენისა

(დასასრული*)

რადგან აქტიორებმა როლები არ იციან, ამის გამო საზოგადოებას ვერ წარმოუდგენია, რომ ის ნამდვილ ცხოვრების სურათსა ანუ მოქმედებას ჰხედავს და არა წარმოდგენას, სცენას. ერთი აქტიორი რო ამბობს, სანამ მეორე პასუხს ეტყოდეს, რადგან არ იცის—რა უთხრას, „ე, ე, ე“-ო იძახის, მერე ბოლოს როგორც იქნება მოჰკრავს ყურს სუფლიორის სიტყვას და თვითონაც წარმოსთქვამს უმნიშვნელოდ და უკილოდ. ძნელად წარმოსადგენია, რომ ნამდვილ ცხოვრებაში ყველა კაცები ბლუები იყვნენ და ყოველ სიტყვაზე ე, ე, ე-ს ამბობდნენ. ძნელად წარმოსადგენია, მაგალითად, რომ ნამდვილ ცხოვრებაში კაცმა ეს ფრაზა: „შენ ჩემი მტერი ხარ, რადგან ყოველთვის ჩემი ზარალი გინდა!“—ასე წარმოსთქვას: „შენ! ჩემი! მტერი! ხარ! რადგან! ყოველთვის! ჩემი! ზარალი! გინდა!“ ერთმა ნიჭიერ მოთამაშემ, როლის უცოდნელობის გამო, როცა თავის სიტყვა გაათავა, ბოლოს დააყოლა სიტყვები, რომელიც პიესაში ბრჩხილებში იყო „გაივლის, გამოივლის და დაჯდება!“

მეორე დიდი შეცდომა ჩვენი თეატრის მოთავეებისა ის იყო, რომ ბენეფისები შემოიღეს რუსული სცენიდამ. ყველას ახსოვს, როგორ დარბოდნენ და ქადავობდნენ ზოგიერთი პირები მობენეფისეებისათვის საჩუქრების შესაკრებად.

ამ ბენეფისების წყალობით მორიგ სპექტაკლებს სრულებით დაეკარგათ მნიშვნელობა. საზოგადოება თითქმის მარტო ბენეფისებზე დაიარებოდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ თვითონ თეატრის დასი ეცდება მობენეფისისათვის კარგი სპექტაკლის გამართვას, იცოდა, რომ ამ სპექტაკლში საუკეთესო მოთამაშეები მიიღებდნენ მონაწილეობას.

ამან გააფუჭა თეატრის დასი.

თეატრის მოთავენი (კამიტეტი) ვალდებულნი იყვნენ, რომ რეპერტუარი გაემდიდრებინათ; მაგრამ ესენი სრულებით არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ახალ-გაზდა მწერლების შრომას. ახალ პიესებს, ახალ დროიდამ და ცხოვრებიდამ ამოღებულებს, უარ-ჰყოფდნენ, სულ მცირე ნაკლულევანების გამო, რომლის გასწორება შესაძლებელი იყო, და ძველი, ვარანცოვის დროინდელის პიესებითა უხეიროდ გადმოკეთებულ კომედია-ვოდევილებით თავს აბეზრებდნენ საზოგადოებასა.

სხვა წვრიმალ ნაკლულევანებაზე სცენისა არას ვამბობ. აილეთ მაგალითად, რამდენი ეხარჯებოდა თეატრის დასს ტანისამოსის ქირაზე, განსაკუთრებით ქალების ტანისამოსისათვის. ახლა, როდესაც ერთი ორად უფრო იაფად ჰქირაობენ ტანისამოსს, მუდამ წარმოდგენაზე მარტო ტანისამოსის ქირაზე თუმანი—თხუთმეტი მანეთი ეხარჯება ხოლმე თეატრის დასს; ადრე კი ხანდის-ხან 40-50 მან. იხარჯებოდა თითო საღამოს. მაშინ რომ ტანისამოსი შეეკერათ ან ეყიდნათ, ახლა თეატრის დასსი ამ ხარჯს მოკლებული იქნებოდა და ასე არ დაუმძიმდებოდა საქმის წაყვანა.

მაგრამ რომელი ერთი გითხრათ? ერთიღა მრჩება მოგახსენოთ: აქლემის არაკი, რომელიც, უეჭველი, ყველას გაუგონია მაგრამ მაინც გავიმეორებ: აქლემს ჰკითხეს:—კისერი რად გაქვს მრუდეო? ხმა არ გასცა. კიდევ ჰკითხეს:—ფეხები რად გაქვს მრუდეო? კიდევ ხმა არ გასცა. კიდევ ჰკითხეს:—ზურგი რადა გაქვს მრუდეო? გაჯავრდა და უპასუხა:—სხვა რა მაქვს სწორიო?

ახლანდელი ჩვენი სცენის საქმეც ესეა.

მაგრამ, თუ ამ სცენას ბევრი ნაკლულევანება აქვს, აქედამ იმ დასკვნის გამოყვანა მაინც არ შეიძლება, რომ ის დასაღუპავად არის განწირული, რომ იმის შველა არ შეიძლება.

ჩვენს თეატრის დასში ისეთი ნიჭიერი მოთამაშეები ურევია, რომ იმათი გაქრობა და დაღუპვა არ შეიძლება სხვების შეცდომებითა და თეატრის საქმის ცუდად წაყვანით.

მოსპეთ ბენეფისები; უფრო ხშირად მოაგროვეთ დრამმატიული საზოგადოება; უფრო ენერგიულად ამუშავეთ ამ საზოგადოების კომიტეტი; ენა მაინც გაასწორეთ რეპერტუარისა, ახალ პიესებისა; და ბოლოს რაც ყველაზე უფრო საჭიროა, სეზონის შემდეგ იმდენი საშუალება მიეცით დასს, რომ ორი სამი თვის განმავლობაში რიგიანად მომზადება შეეძლოს ახალ პიესებისა მომავალის სეზონისათვის.

ყველა ამას ვეუბნები იმათ, ვისაც უყვარს სამშობლო სცენა და ესმის—თუ რა დიდი და უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმას ჩვენისთანა ხალხისათვის. ერთი და ორი კაცი მართალია, შემწეობას მისცემს ამ საქმეს, მაგრამ ბევრიც რო მოინდომონ მაგრად ვერ დააყენებენ ფეხზე; საფუძვლიანად დაყენება და გამაგრება ამ საზოგადო საქმისა მხოლოდ თვითონ საზოგადოებას შეუძლიან თავის ზნეობით და ნივთიერ დახმარებითა.

X.

*) იხ. „დროება“ № 237.

## ახალი ამბები.

ახალციხის მაზრის სოფ. აწყურიდამ შემდეგი წერილი მივიღეთ:

„გუშინ, დილით, 8 გიორგობისთვეს, მაზრის უფროსმა ბ. მესხიევმა და მომრიგებელ შუამავალმა თ. თარხანოვმა გახსნეს ორი სკოლა აწყურის სასოფლო საზოგადოებაში: ერთი შიგ აწყურში, მეორე ტამსიისში. ამ უკანასკნელში მოწაფენი ქართველი მართლ-მადიდებელნი იქმნებიან, პირველში კი სხვა-და-სხვა რჯულის ხალხი: ქართველი, მაჰმადიანი, სომეხი, ურია.

„ორივე სკოლის შენობანი სუფთა, კოპწია შენობანი არიან. აწყურის სკოლა შიგ ციხის გალავანშია; კარგი ფართო ადგილია, მიყრუებული.

„ხალხი ძლიერ მადლიელია და უხარიან.

„დიდი მნიშვნელობა აქვს აწყურში სკოლის გახსნას: აწყურელები ერთობ ფანატიკები არიან და რაკი ესენი დაიყოლიეს, სხვებიც ადვილად დაჰყვებიან: ამათ უყურებენ. მაზრის უფროსს იმედი აქვს, რომ ადიგენშიაც ამ ცოტა ხანში გახსნის სკოლას“.

* * *

ახალ-ციხიდამ გვწერენ:

„სპექტაკლი გავმართეთ სასარგებლოდ ჩვენი ქალების სკოლისა. შემოსავალ - გასავლისას ჯერ ვერასა გწერთ. გეტყვით მხოლოდ, რო ხალხი ცოტა იყო. სომხობა თითქმის არავინ მოვიდა. საკვირველ გულ-გრილობას იჩენდნენ დასაბამიდან აქაური ძველ ქალაქის მცხოვრებლები ამ საქმეში და იჩენენ კიდევაც. ეს ათი წელიწადი მეტია, რაც ამ სკოლის მზრუნველი და წამყვანი მხოლოდ ერთი ჩვენი მაზრის უფროსია; ის რო არა, სკოლა ახლა დიდი ხნის დაკეტილი იქნება.

„აქ სიცივე და თოვლია. ამისთანა ადრეულ ზამთარს ბევრი არ ვინ მოსწრებია.“

* * *

ქუთაისიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ:

„აქ მცხოვრებ ანდრია ქავთარაძეს ამ დღეებში ღამით მიუხტენ ქურდები, დაეკეტათ სუყველა კარები გარედამ და ასულიყვნენ ჭერზე კიბის საშუალებით. იქიდამ ჩამოეტანათ ერთი პატარა ზანდუკი და გაეტეხათ იქვე ახლოს გორაზედ; ეპოვნათ და წაეღოთ ას ცამეტი მანეთი და ორი კარაბადინი. ფუთი და დანარჩენი, თუ რამე ყოფილიყო შიგ, იქვე დაეტოვებიათ. დილას სახლის პატრონმა, რადგანაც კარები გარედამ დაკეტილი იყო და ვერ გაალეს, ფანჯარიდამ გამოვიდა და გაალებინა კარები. ძებნა დაიწყეს და იპოვნეს დამტვრეული ზანდუკი. საწყალი ბებერი ისე ფულებს არ ნაღვლობს, როგორც კარაბადინებს, რომლების შემწეობით თითქმის ოჯახობას ასაზრდოებდა.“

* * *

გუშინდელს ნომერში, ბ. კ. ქ. მამაცოვის შენიშვნაში, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილს თაობაზედ, გაზეთის მესამე გვერდზე, პირველ სვეტის ბოლოს დაბეჭდილია, რომ მაშასადამე ნიკ. ბარათაშვილი 1815 წ. უნდა იყოს დაბადებულიო: 1815 წელიწადი კი არა, 1816 წელიწადი უნდა იყოს.

* * *

დღეს, 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნულია „ვეფხის-ტყაოსნის“ გარჩევა.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

„დროების“ მე-229 №-ში მოწინავე სტატიიდამ ვტყობულობთ, რომ ვილაცა ბლადოჩინს სოხალეიშვილს იმერეთიდამ გაუგზავნია „დანოსი“ სინო-

დალნი კანტორაში იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელზედ, რომ ვითომც მან ძალით გარდააწყვეტინა სემინარიის გასახსნელად ქუთაისში ფულების შეწირვა, სამღვდელოებას და სხვ.... მომეცით ნება მე, როგორც ბლაღოჩინს და ამ უკანასკნელი სამღვდელოების თავმჯდომარეს, ორიოდე სიტყვა ვსთქვა ამ „დანოსზედ".

ნამდვილ მიხვედრილ ხართ თქვენც, რომ ათანასე სოხალეიშვილი გამოგონილი სახელი და გვარია და არა ნამდვილი. ამ სახელისა და გვარის არც მღვდელი და არც ბლაღოჩინი არ არის დასავლეთ საქართველოში. აქედამ ცხადად უნდა დაინახოს ყველამ—თუ რა საფუძვლიანი დანოსი იქნება ეს დანოსი და რამოდენად დაიმსახურებს ყურადღებას. განა ეს ერთი დანოსია? რამოდენი დანოსები იგზავნება კანტორაში იმერეთიდამ? მოთმინებიდამ გამოსულმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ეგზარხოსმა იოანნიკემ 1879 წ. საზოგადო სამღვდელოების შეკრებილებაზე ამხილა ყველა მღვდლები და გამოუცხადა ყველას, რომ ამისთანა დანოსებს ის ყურადღებას სრულებით არ მიაქცევს. მაგრამ უსინიდისო პირებს ვინ ჩააგონებს? იქ, სადაც უმეცრებას ღრმად გაუდგამ ფესვები, ვინ მოაშლევინებს საზოგადოებაში ორიოდე უსინიდისო პირებს, რომ მათ დატოვონ თავისი საძაგელი საქციელი?

თუმცა დღეს ისე აღარავინ აქცევს ყურადღებას ამისთანა დანოსებს, როგორც, სამწუხაროდ, წინეთ აქცევდნენ, მაგრამ ზოგიერთი მედანოსეები ისე დახელოვნებულან ამისთანა სამარცხვინო დანოსების წერაში, რომ უნებლიეთ მთავრობას რამეს აფიქრებინებენ და შეაწუხებენ უბრალო მიწერ-მოწერით. ეს უსინიდისო პიროვნული მტერობისაგამო, გამოდიან და მთელ საზოგადოებას ლანძღვენ და მათ წმინდა საქმეს ხელს უშლიან და აბრკოლებენ. საზოგადოების მაგიერად მთავრობასთან საჩივარს გზავნიან იმისთანა საგანზე, რომელიც საზოგადოებას აზრშიაც არ მოუვა არასოდეს. იყო ამისთანა მაგალითი ამ ცოტა ხანში. წარსულ წელს კანტორას მიუვიდა დანოსი ერთ მღვდლის გრიგოლ ცქვიტიშვილისაგან, რომელიც ეპისკოპოსს უჩიოდა, რომ სემინარიისათვის ფულებს ვიხდით 1872 წლიდამ; ძალათი გვახდევინებენ, ეს ვალდასახადი მოგვისპეთ და მოგროვილი ფულები უკან დაგვიბრუნეთო.... ესეც გამოგონილი სახელით იყო დაწერილი. მართალია, იყო სოფ. ბაშს ერთი შტატ-გარეთი მღვდელი გრიგოლ ცქვიტიშვილი მ. დეკანოზის გამრეკელოვის საბლაღოჩინოში, მაგრამ ამ დანოსის დაწერამდი ხუთი წლის წინედ იყო გარდაცვალებული!... ამ დანოსზედ, როგორც ამბობენ, საქმის მიწერ-მოწერაც დაწყებულა, მაგრამ რით გათავდება? მით, რომ დაიწერება რამდენიმე თაბახი ქაღალდი და ბოლოს მოისპობა!...

მაგრამ ამ უსინიდისო პირებს არა ეშველათ-რა. როგორც იმერეთის სამღვდელოებამ გარდასწყვიტა სემინარიის დაარსება ქ. ქუთაისში, მაშინვე გაუგზავნიათ თურმე დანოსი იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელზედ, რომელშიაცა სწამებენ მას ათას-ნაირ ცილის-წამებას, მაგრამ, სასიხარულოდ ყველა სამღვდელო პირთა, მიმღებს არ მიუქცევია მისთვის ყურადღება. ეხლა კიდევ, როდესაც დაინახა, რომ სამეგრელოს სამღვდელოებამაც ერთხმად გარდასწყვიტა სემინარიის დაარსების საქმე, კიდევ გაუგზავნიათ თურმე ამ ჩვენ მედანოსეებს დანოსი,— იქნება ყურადღება მიაქციონო და გაბრიელ ეპისკოპოსთან, პირადი მტრობისაგამო, ქვეყნის სასარგებლო საქმე უნდათ წაახდინონ და დაშალონ.

მართალია, სემინარიის დაარსების საქმე ქ. ქუთაისში იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს ეკუთვნის, მაგრამ ეს აზრი, რომელიც მისგან რამოდენჯერმე აქვს მიცემული სამღვდელოებას, ისე შეითვისა სამღვდელოებამ რომ ასში თითქმის ერთს ვერ ნახავ ისეთს გრმას, რომ წინააღმდეგი გახდეს თავის ეპარქიაში სემინარიის დაარსებისა და მასში შვილების გამოზრდისა. ერთი ორი წინააღმდეგი რომ კიდეც გამოჩნდეს, განა შეიძლება კაცმა რამე მნიშვნელობა მისცეს მათ გრმა აზრს? ვინც თვალყურს ადევნებს რუსულ გაზეთებს ეხლანდელ დროში, მისთვის ამისთანა ამბები სრულებით არ არის გასაკვირველი. არიან იმისთანა გრმები ეხლანდელ დროში, რომელნიც წინააღმდეგნი არიან არა თუ გასახსნელ სემინარიებზე, არამედ გახსნილის დაკეტვაც სურსთ. მაგრამ ამისთანა პირების ლაპარაკს არასოდეს არ უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება, თუ თავის შეწუხება არ უნდა ამისთანა საძაგელი დანოსების კითხვით....

1874 წლიდამ თითქმის ყველა სამღვდელოების შეკრებილებაზე დავსწრებივარ გარდა ორისა. ამ შეკრებილებაზე სამღვდელოებას ყოველთვის კენჭის-ყრით თითქმის ერთელის ხმით მე ამოურჩევივარ ხოლმე თავსმჯდომარედ. მაგრამ არც ერთჯერ არ მომხდარა, რომ ყოვლად-სამღვდელო გაბრიელს ძალა დაეტანებინოს რამე საქმეზედ შეკრებილებისათვის.

სემინარიის დასაარსებელი ფულების შეწირვის თაობაზე სამღვდელოებისაგან ერთი გარდაწყვეტილება იყო დადგენილი 1872 წელში, რომლის დროიდამ დღემდის თითქმის 27 ათას მანეთამდე არის შეგროვილი.

როგორც თავსმჯდომარემ სამ-გზის მივეცი წინადადება სამღვდელოების დეპუტატებს, რომ მოეფიქრათ კარგად სემინარიის დასაარსებლად ფულის შეწირვის საქმე და თუ მათი სურვილი არ არის, თავი დაენებებიათ; მაგრამ ერთი დეპუტატი არ გამოვიდა წინააღმდეგი აზრისა. ყველას სურდა და სურს, რომ სემინარია დაარსდეს ქ. ქუთაისში და შვილები გამოზარდოს შიგ. ეს აზრი წინეთაც ჰქონდა სამღვდელოებას, მაგრამ საშუალება არ მოეძეოდა და ის აბრკოლებდა ამ კეთილი საქმის სისრულეში მოყვანას.

რასაკვირველია, ყველა ეს მოხდა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ჩაგონებით, მაგრამ არა მუქარითა და ჯოხით, როგორც უსინიდისო მედანოსე სწერს, არამედ სათნო და მოძღვრულ დარიგებით და ახსნით. ეს მტკიცდება სამეგრელოს სამღვდელოების შეკრებილების სიგელისაგან. აი როგორ იწყება მათი გარდაწყვეტილება:

„რადგან სამეგრელოს სასულიერო წოდებას, მიუცილებელის საჭიროებისა გამო, ადრიდგანვე ჰქონდა სურვილი მიეღო მონაწილეობა დაარსებისათვის ქუთაისში სემინარიისა, იქმნეს შეწირული სამ წლის მრთელი ჯამაგირი ხვედრი სამეგრელოს სამღვდელოებისა და სხვ."

როგორც ამბობენ მღვდლები სამეგრელოსანი, მყოფნი ყრილობაზე და დეპუტატები საქვეყნოდ იძახოდნენ, ისინი მზად არიან ანაფორა დააგირაონ სემინარიის დაარსებისათვის. სხვა საზოგადოება, ყოველი საერო წოდების პირი, ვისაც კი შეჭირს რამე ხალხის განათლებისა და განსაკუთრებით განათლებული მღვდლის ყოლისა, დიდად თანაუგრძნობს ამ საქმეს და აქებს სამღვდელოების ამისთანა მოქმედებას.

მაშ ერთი ვკითხოთ ამ ბატონთ მედანოსეებს—რად იწუხებენ თავს დანოსების წერით? ვინ ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები მომჩივან-მედანოსეები? რად იწუხებენ თავს საზოგადოდ სამღვდელოების მაგიერ, როდესაც მრთელი სამღვდელოება ზიზღით ისმენს მათ დანოსის სიტყვებს, ყველა მათ საქციელს? ვინ აძლევს მათ ვექილობას და ან როგორ ბედვენ იგინი საზოგადოების სახელით დანოსის წერას? რამ გაათამამა იგინი, რომ ასე ხშირად იწერებიან დანოსებს?

ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ამისთანა ზნეობით დაცემული პირები მარტო ჩვენში კი არ არიან. რუსეთშიაც მრავალნი არიან, მაგრამ იქ ეპისკოპოსები წინდაწინვე გამოაცხადებენ ხოლმე, რომ, თანახმად ცნობილი კანონისა, იგინი არავითარ დანოსს ყურადღებას არ მიაქცევენ. [illegible] კარგი იქმნება, [illegible] აზიზებდნენ ამას. რომ ეს მოხდებოდეს ჩვენშიაც, მე დარწმუნებული ვარ, ამ დანოსებს ბოლო მოეღებათ და აღარავინ არ შეწუხდება მათი კითხვით...

ბლაღოჩინი მღვდელი
დ. ღამბაშიძე.

ნოემბრის 5 რიცხვსა „დროების" (№ 232) იყო დაბეჭდილი შენიშვნა შესახებ სამღვდელოთ კრებისა, ე. ი. სახლის აშენებაზედ და ფულების შეკრებაზედ ამ სახლისათვის, რომელიც უნდა აშენდეს იოანე ღვთის-მეტყველის ეკკლესიის ადგილზედ, ვერაზედ. ამას გარდა მოხსენებული იყო სასულიერო სასწავლებლის მმართველობის წევრთა გამოცვლაზედ.

მე მიკვირს, რატომ სხვა საგანზედ არას ბრძანებენ ბ.ბ. დეპუტატნი; მე მგონია, სმეტაზედ უნდა უფრო დიდი ყურადღება მიექციათ და განეხილათ გონიერულად; მაგრამ ამ საგანზედ კი ჩუმად ბრძანდებიან და იმას კი ბრძანებენ წევრები გამოცვალეთო. ნახეთ—რა დიდი და საკვირველი საქმე მოუხდენიათ. მაგათი საქმე ისე არის, ჯერ არ დაბადებულა, აბრამს არქმევდნენ! ჯერ-ჯერობით, როგორც ჩვენ შევიტყეთ, 5 ნოემბერს არ ყოფილა ჟურნალი დამტკიცებული, 6 ნოემბერს წარუდგენიათ დასამტკიცებლად, ვის და მიცა ჯერ არს დამტკიცება, და გაზეთში კი აბეჭდინებენ! რატომ იმაზედ ბ.ბ. დეპუტატნი არასა ბრძანებენ, ამ თერთმეტის დღის განმავლობაში რა გაარიგეს? მე მგონია, ეს უფრო საინტერესო და საყურადღებო იქნებოდა მკითხველებისათვის, მანამ წევრების გამოცვლა... ამ ხსენებულ წევრთ წასულს მაისშივე შეუსრულებიათ თავიანთი ვადა, თქვენც რომ არ გამოგეცვალათ, თითონაც აღარ აპირებდნენ დადგომას; ერთ წევრთაგანმა პირველ სხდომაზედვე სთხოვა კრებას, რომ განეთავისუფლებინათ ხსენებულის თანამდებობისაგან...

დეკანოზი პეტრე იმნაძე.

## ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

სამმართველო ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ - მამულო ბანკის ა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 28 § ძალით, 18 დეკემბერს მიმდინარის 1881 წლისა, დილის თორმეტს საათზედ, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარავან-სარაის ქუჩა, ხარაზოვების სახლები) საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო-აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გარდასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე 19 §-ის თანახმად, სრულად შეავსებენ ბანკის სახვედრო გარდასახადს და თან გამოცხადებათა ხარჯებს.

ქუთაისის გუბერნიის: ქუთაისის უეზდისა.

$43\frac{1}{2}$ წლიანნი სესხნი.

ლორთქიფანიძისა, ვლასა ბესარიონის-ძის, თავადისა: სოფელსა უფიშკვითს სახნავ-სათესი, 91 დესიატ. 1390 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9,453 მან. 61 კაპ., შესავსებელი გარდასახადი 395 მან. 58 კაპ.—სულ 9849 მან. 19 კაპ.

ბესარიონ ანდრიას-ძის ხელთუფლიშვილის მემკვიდრეთა: ბანოჯის აგარს სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატ. 360 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1169 მან. 52 კაპ., შესავსებელი გარდასახადი 51 მან. 47 კაპ.—სულ 1220 მან. 99 კაპ.

ყანდინოვისა ანნა ნიკოლოზის ასულის, ნადვორნი სოვეტნიკის ქალისა: სოფელთა ჭოგნარს, წინაველს და გოდოგანს ეზო, ზვარი სახნავ-სა-

თესი 26 დესიატინი 600 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2053 მან. 30 კაპ., შესავსებელი გადასახადი 38 მან. 88 კაპ.—სულ 2137 მან. 18 კაპ.

**სიმონ ივანეს-ძის მესხის მემკვიდრეთა:** სოფელსა რიონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1466 მან. 65 კაპ., შესავსებელი გადასახადი 85 მან. 31 კაპ.—სულ 1551 მან. 96 კაპ.

**ნიჟარაძისა,** მიხაილ დიმიტრის-ძის, თავადისა: სოფელსა მაღლაკს ეზო და სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 450 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 782 მან. 31 კაპ., შესავსებელი გადასახადი 44 მან. 51 კაპ. სულ 826 მან. 82 კაპ.

**აგიაშვილისა,** გიორგი თეიმურაზის-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 114 დესიატ. 1931 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 14.712 მან. 63 კაპ., შესავსებელი გადასახადი 773 მან. 58 კაპ. —სულ 15.486 მან. 21 კაპ.

**აგიაშვილისა,** სიმონ ბებეს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1961 მან. 72 კაპ., შესავსებელი გადასახადი 91 მან. 50 კაპ.—სულ 2053 მან. 22 კაპ.

**აგიაშვილთა,** ქაიხოსრო, კოსტანტინე და სიმონ ბებეს-ძეთა, თავადთა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი და ტყე, 33 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2746 მან. 35 კაპ., შესავსებელი გარდასახადი 137 მან. 62 კაპ.—სულ 2883 მან. 97 კაპ.

**აგიაშვილისა,** ქაიხოსრო ბებეს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 28 დესაატ. 1200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2844 მან. 46 კაპ., შესავსებელი გადასახ დი 127 მან. 28 კაპ.—სულ 2971 მან. 74 კაპ.

**კაკიანისა,** ანნა ფირანის ასულის, აზნაურისა: ეზო და სახნავ-სათესი 9 დესიატ. 695 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 686 მან. 60 კაპ., შესავსებელი გადასახადი 31 მან, 53 კაპ.—სულ 718 მან.

**მიქელაძისა,** დავით ალექსანდრეს-ძის, თავადისა: სოფელსა ჭყუშურს სახნავ-სათესი, 130 დესიატ. 80 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 25.501 მან. 94 კაპ. შესავსებელი გადასახადი 1335 მან. 22 კაპ.—სულ 26.837 მან. 16 კაპ.

**გოგორიშვილისა,** მარიამ მერაბის ასულის აზნაურისა: სოფელთა ინაშაურს და ბზვანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 9 დესიატ. 675 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 983 მან. 79 კაპ., შესავსებელი გადასახადი 49 მან. 75 კაპ.—სულ 1033 მან. 54 კაპ.

**გაბაშვილისა,** ნიკო კოსტანტინეს-ძის, აზნაურისა: სოფელსა ჯიმაშტაროს, ბუმათის აგარს, ეზო. ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 40 დესიატ. 580 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1180 მან. 62 კაპ.; შესავსებელი გადასახადი 71 მან. 14 კაპ.—სულ 1251 მან 76 კაპ.

**მხეიძისა,** სპირიდონ დავითის-ძის, აზნაურისა: სოფელსა კორეეთს ეზო და სახნავ-სათესი, 5 დესიატ. 567 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 196 მან. 14 კაპ., შესავსებელი გადასახადი 34 მან. 23 კაპ.—სულ 230 მან. 37 კაპ.

**ერისთავისა,** ივანე ოტიას-ძის, თავადისა: სოფელთა ამაღლებასა, ინაშაურს და უხუთს სახნავ-სათესი და ზვარები, 67 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6886 მან. 83 კაპ., შესავსებელი გადასახადი 452 მან. 51 კაპ. —სულ 7339 მან. 34 კაპ.

**იოსელიანისა,** პეტრე ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: სოფელსა წყალტუბოს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 14 დესიატ. 600 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1184 მან. 09 კაპ., შესავსებელი გადასახადი 85 მან. 97 კაპ. —სულ 1270 მან. 06 კაპ.

**მიქელაძისა,** ალექსანდრე იაგორის-ძის, თავადისა: სოფელსა კულაშს ეზო და სახნავ-სათესი, $10^1/_8$ დესიატ.; თავნი ვალი 2170 მან. 77 კაპ შესავსებელი გადასახადი 63 მან. 23 კაპ.—სულ 2234 მან.

**მიქელაძეთა,** ვალერიან და გიორგი ბეგლარის-ძეთა, თავადთა: სოფ. კულაშს სახნავ-სათესი და ეზო, 23 დესიატ. 1104 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4637 მან. 65 კაპ., შესავსებელი გადასახადი 294 მან. 25 კაპ.—სულ 4931 მან. 90 კაპ.

**ნიჟარაძისა,** მიხაილ რევაზის-ძის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 3 დესიატ.; თავნი ვალი 789 მან. 40 კაპ., შესავსებელი გადასახადი 50 მან. 16 კაპ.—სულ 839 მან. 56 კაპ.

**აგიაშვილისა,** მგვიპტა გიორგის ასულის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი, 30 დესიატ.; თავნი ვალი 1366 მან. 53 კაპ., შესავსებელი გადასახადი 137 მან. 20 კაპ. - სულ 1503 მან. 73 კაპ.

**ქორქაშვილისა,** ანნა რევაზის ასულის, აზნაურისა: სოფელთა მაღლაკს და ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 25 დესიატ. 89 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 692 მან. 69 კაპ., შესავსებელი გადასახადი 45 მან. 38 კაპ.—სულ 738 მან. 07 კაპ.

**ერისთავისა,** ვარლამ მიხაილის-ძის, თავადისა: სოფელსა მწირს სახნავ-სათესი და ტყე, 162 დესიატ. 216 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 9895 მან. 41 კაპ., შესავსებელი გადასახადი 471 მან. 07 კაპ.—სულ 10.366 მან. 48 კაპ.

**აგიაშვილისა,** მიხაილ ბეკოს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ზვარი და სახნავ-სათესი, 15 დესიატ. 1251 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2183 მან. 01 კაპ., შესავსებელი გადასახადი 97 მან. 45 კაპ.—სულ 2280 მან. 46 კაპ.

**ბაინდუროვისა,** ივანე თომას-ძის, აზნაურისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო და სახნავ-სათესი, 114 დესიატ. 2217 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 15.181 მან. 77 კაპ., შესავსებელი გადასახადი 618 მან. 18 კაპ.—სულ 15.799 მან. 95 კაპ.

**მიქელაძისა,** დავით პეტრეს-ძის, თავადისა: ეზო და სახნავ-სათესი, 3 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 893 მან. 04 კაპ., შესავსებელი გადასახადი 45 მან. 78 კაპ.—სულ 938 მან 82 კაპ.

**ნიჟარაძისა,** ალექსანდრა მერაბის ასულის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს ეზო სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ. 2304 საჟ.; თავნი ვალი 1488 მან. 41 კაპ. შესავსებელი გადასახადი 69 მან. 63 კაპ —სულ 1558 მან. 04 კაპ.

**წულუკიძისა,** ქრისტინა ქაიხოსროს ასულის, თავადისა: დაბა ხონს და სოფელთა ივანდიდს და ჭყვიშს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 1113 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3969 მან, 09 კაპ., შესავსებელი გადასახადი 116 მან. 28 კაპ.—სულ 4085 მან. 37 კაპ.

**წულუკიძეთა:** დავით და ალექსი, თავადთა: სოფელსა ნამაშევს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 46 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3076 მან. 05 კაპ, შესავსებელი გადასახადი 85 მან. 42 კაპ.—სულ 3161 მან. 47 კაპ.

**მაჩაბელთა:** ნესტორ და ანემპოდისტი მსეს-ძეთა, გიორგი მიხაილის-ძის, ნატალია ივანეს ასულის და მარიამ სეფეს ასულის, თავადთა: სოფელსა ინნეთს სახნავ-სათესი და ტყე, 176 დესიატ. 1652 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 10944 მან. 18 კაპ., შესავსებელი გადასახადი 446 მან. 25 კაპ.—სულ 11.391 მან. 43 კაპ.

**მათივე:** სოფელსა ინნეთს სახნავ-სათესი და ტყე 406 დესიატ. 192 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 39.498 მან. 52 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1588 მან. 08 კაპ.—სულ 41.086 მან. 60 კაპ.

**ჩხეიძისა,** ევგონია ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა, სოფელთა ბაშს და ფარცხა-ნაყანევს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 70 დესიატ. 768 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9949 მან. 25 კაპ., შესავსებელი გადასახადი 408 მან. 50 კაპ.—სულ 10.357 მან. 75 კაპ.

### 3 წლიანნი სესხნი:

**აგიაშვილისა,** კოსტანტინე ბებეს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2000 მან. შესავსებელი გადასახადი 119 მან. 06 კაპ.—სულ 2119 მან. 06 კაპ.

**ჩხეიძისა,** ევდუკსია ფილიპეს ასულის, აზნაურისა: სოფელსა ბზვანს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 4 დესიატ. 1200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 200 მან. შესავსებელი გადასახადი 27 მან. 44 კაპ.—სულ 227 მან. 44 კაპ.

## ბ. შორაპნის უეზდისა.

### $43^1/_2$ წლიანნი სესხნი:

**ბიწაძეებისა,** ქაქიჩა და ბესარიონ ბერუკას-ძეთა, პავლე და გიორგი კიკოლას-ძეთა, გლეხთა: სოფელსა კვალითს ზვარები სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 414 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1359 მან. 87 კაპ., შესავსებელი გადასახადი 65 მან. 65 კაპ.—სულ 1425 მან. 52 კაპ.

**აბაშიძისა,** ტარასი ვახუშტის-ძის, თავადისა: სოფელთა ზედა საქარას და დაბლა საქარას ეზო, ზვარი, სახნავ-ხათესი და ტყე, 21 დესიატ. 2000 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1657 მან. 85 კაპ., შესავსებელი გადასახადი 85 მან. 35 კაპ.—სულ 1742 მან. 20 კაპ.

**ყიფიანისა,** აპოლლონ მერაბის-ძის, აზნაურისა: სოფელსა ღვანკითს სახნავ-სათესი $11^1/_4$ დესიატ.; თავნი ვალი 2241 მან. 61 კაპ., შესავსებელი გადასახადი 166 მან. 86 კაპ.—სულ 2508 მან. 47 კაპ.

**ცქიტიშვილისა,** დიმიტრი სიმონის-ძის, აზნაურისა: სოფელსა ზედა საქარას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, $12^1/_8$ დესიატ.: თავნი ვალი 1169 მან. 59 კაპ., შესავსებელი გადასახადი 59 მან. 71 კაპ.—სულ 1229 მან. 23 კაპ.

**ჩხეიძისა,** მელანია ქაიხოსროს ასულის, აზნაურისა: სოფელსა ლახუნდარას ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3898 მან. 36 კაპ., შესავსებელი გადასახადი 242 მან. 02 კაპ.—სულ 4140 მან. 38 კაპ.

**აბაშიძისა,** ტარიელ ვახუშტის-ძის, თავადისა: სოფელთა ზედა საქარას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ, 800 კვადრ. საჟ.; თავნი 1173 მან. 32 კაპ, შესავსებელი გადასახადი 57 მან. 70 კაპ.—სულ 1231 მან. 02 კაპ.

**აბაშიძისა,** ქაიხოსრო გიორგის-ძის, თავადისა: სოფელსა ლაშეს ეზო, ზვარია სახნავ-სათესი და ტყე, 49 დესიატ. 280 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6865 მან. 88 კაპ., შესავსებელი გადასახადი 280 მან. 25 კაპ.—სულ 7146 მან. 13 კაპ.

**გოდაბრელიძეთა:** სპირიდონ და იოსებ ოტიას-ძეთა, აზნაურთა: სოფ. პასიეთს, საჩხერს და საირხეს სახნავ-სათესი და ტყე, 37 დესიატ. 1692 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3923 მან. 35 კაპ., შესავსებელი გადასახადი 169 მან.—სულ 4092 მან. 35 კაპ.

**მეშანიშვილისა:** ბესუკი და გიორგი ოქროპირის-ძეთა, ივანე და ლუკა კაციას-ძეთა, გლეხთა: სოფელსა რუფოთს სახნავ-სათესი და ტყე, 10 დესიატ. 802 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 490 მან. 41 კაპ., შესავსებელი გადასახადი 45 მან. 62 კაპ.—სულ 536 მან. 03 კაპ.

**ჯაჯიაშვილისა,** სინო გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფელსა არგვეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6865 მან. 88 კაპ. შესავსებელი გადასახადი 454 მან. 05 კაპ.—სულ 7319 მან. 93 კაპ.

**ბოჭორიშვილებისა:** ვასილ და გრიგორი გიორგის-ძეთა, გლეხთა; სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 8 დესიატ. 1450 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1187 მან. 46 კაპ. შესავსებელი გადასახადი 65 მან. 64 კაპ. სულ 1253 მან. 10 კაპ.

**ბოჭორიშვილისა,** ივანე ივანეს-ძის, გლეხისა: სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და სათიბი, 4 დეს. 1532 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 593 მან. 70 კ., შესავსებელი გადასახადი 33 მ. 85 კ.—სულ 627 მ. 55 კ.

**ბოჭორიშვილებისა:** სოლომონ და იოსებ ბლახუას-ძეთა, გლეხთა: სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დეს. 1025 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 791 მან. 64 კაპ. შესავსებელი გადასახადი 41 მ. 80 კ. სულ 833 მ. 44 კ.

**ბოჭორიშვილისა,** პეტრე სიმონის-ძის, გლეხისა: სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დეს. 1030 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 692 მან. 69 კაპ., შესავსებელი გადასახადი 37 მ. 83 კ. სულ 730 მ. 52 კ.

**მეშახიშვილებისა:** ივანე და ლუკა კაციას-ძეთა, გლეხთა: სოფ. რუ-

ფოთს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დეს. 1882 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 791 მ. 64 კ., შესავსებელი გადასახადი 46 მ. 10 კ. სულ 837 მ. 74 კ.

### გ. რაჭის უეზდისა.

**ბაქრაძე ბიჭია გიორგის-ძის, აზნაურისა:** სოფ. ქვაშხიეთს სახნავ-სათესი 5 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1466 მან. 65 კაპ., შესავსებელი გადასახადი 66 მან. 91 კაპ. სულ 1533 მან. 56 კაპ.

**ჯაფარიძისა ტარიელ მერაბის-ძის თავადისა:** სოფ. ღარს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 2 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 684 მან. 45 კაპ. შესავსებელი გადასახადი 33 მან. 37 კაპ. სულ 717 მან. 82 კაპ.

**ქაფიანიძეებისა:** გოგინა მიქელას-ძისა, პეტრე, სპირდონ და იოსებ დავითის-ძეთა, ალექსი შიოს-ძის და მიხეილ შაქარას-ძის გლეხთა: სოფელსა ნაკიეთს ეზოები, ზვარები, სახნავ-სათესი და სათიბი 75 დესიატ. 1404 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5920 მან. 37 კაპ., შესავსებელი გადასახადი 264 მან. 67 კაპ.—სულ 6185 მან. 04 კაპ.

**მუსელიანისა, ტარიელ ოქროპირის-ძის, გლეხისა:** სოფ. ტოლას ეზო ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 15 დეს.; თავნი ვალი 1480 მ. 09 კ., შესავსებელი გადასახადი 84 მ. 64 კ. სულ 1564 მ. 73 კ.

### დ. სენაკის უეზდისა:

**მიქაძეთა:** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის, რამინ და ბეჟან სიმონის-ძეთა, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძეთა და ეკატერინა პეტრეს ასულის თავადთა: სოფ. ჭალადიდს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 750 დეს.; თავნი ვალი 14,712 მ. 63 კ. შესავსებელი გადასახადი 984 მ. 97 კ. სულ 15,697 მ. 60 კ.

**თოფურიძისა, ხახუ დავითის-ძის, აზნაურისა:** სოფ. სეფიეთს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 38 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2976 მან. 83 კაპ., შესავსებელი გადასახადი 123 მან. 69 კაპ. სულ 3100 მან. 52 კაპ.

### ე. ზუგდიდის უეზდისა.

**დადიანისა, კონსტანტინე ლევანის-ძის, თავადისა:** სოფ. ხიბულას სახნავ-სათესი და ტყე, 6000 დესიატ.; თავნი ვალი 38,984 მან. 08 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1843 მან. 06 კაპ. სულ 40,827 მან. 14 კაპ.

### 3. ლეჩხუმის უეზდისა.

**ახვლედიანებისა:** ოტია, გიორგი და სიკო ანტონის-ძეთა, თავადთა: სოფელთა აჭერას, ალპანას, ზოგიშს და ცაგერს ეზოები, ზვარები, და სახნავ-სათესი და ტყე, 104 დესიატ. 456 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 16,622 მან. 10 კაპ., შესავსებელი გადასახადი 661 მან. 68 კაპ. სულ 17,283 მან. 78 კაპ.

**ჩიქოვანისა ივანე ოტიას-ძის, თავადისა:** სოფელთა ლასურიაშს, მახაშს და უწყერს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, $48^3/_4$ დესიატ. თავნი ვალი 4,888 მან. 79 კაპ., შესავსებელი გადასახადი 278 მან. 02 კაპ. სულ 5166 მან. 81 კაპ.

## ქ. ქუთაისს.

### $18^7/_{12}$ წლიანნი სესხნი.

**წერეთელთა, გიორგი და დიმიტრი ექვთიმეს-ძეთა, ვასილ სიმონის-ძის და იოსებ ოქროპირის-ძის აზნაურთა:** ორი ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 2 დესიატ. 1146 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5796 მან. 35 კაპ., შესავსებელი გადასახადი 561 მან. 12 კაპ. სულ 6357 მან. 47 კაპ.

**ელისაბედ სიმონის-ძის ჩარექოვის მემკვიდრეთა:** შვიდი ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქნები და მიწა $103^1/_2$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2566 მან. 94 კაპ., შესავსებელი გადასახადი 259 მან. 81 კა. სულ 2826 მან. 75 კაპ.

**დოდაბერიძისა, გიორგი ბესარიონის-ძის:** ოთხი ქვით-კირის ერთ სართულიანი მაღაზიები და მიწა, 276 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 15,765 მან. 62 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1224 მან. 11 კაპ. სულ 16,989 მან. 73 კაპ.

**კანდელაკისა ეკატერინა ანდრიას ასულის, აზნაურისა:** ორი სახლი და მიწა, 192 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2542 მან. 82 კაპ., შესავსებელი გადასახადი 307 მან. 94 კაპ. სულ 2850 მან. 76 კაპ.

**ლორთქიფანიძისა, ვლასა ბესარიონის-ძის, თავადისა:** ერთ სართულიანი ქვით-კირის დუქანი და მიწა, 700 კვადრს. საჟ.; თავნი ვალი 5085 მან. 72 კაპ., შესავსებელი გადასახადი 328 მან. სულ 5413 მან. 72 კაპ.

**ხელთუფლიშვილისა, ბესარიონ ანდრიას-ძის, აზნაურისა:** მემკვიდრეთა: ოთხი ხის ერთ-სართულიანი დუქნები და მიწა, 442 კვადრ. საჟ.;1525 მან. 70 კაპ., შესავსებელი გადასახადი 105 მან. 40 კაპ. სულ 1631 მან. 10 კაპ.

**გურიელისა, ელიონორა მიხაილის ასულის თავადისა:** ერთ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 1230 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4333 მან. 05 კაპ., შესავსებელი გადასახადი 276 მან. 18 კაპ. სულ 4609 მან. 23 კაპ.

**სარჩიმელიასი, ივანე ბეჟანის-ძის, აზნაურისა:** ორ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა 81 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1559 მან. 91 კაპ. შესავსებელი გადასახადი 178 მან. 68 კაპ. სულ 1738 მან. 59 კაპ.

**ალხაზოვისა, ივანე კაცია-ძის, მოქალაქისა:** ორ სართულიანი ქვით-კირის სახლები და მიწა, 334 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3611 მან. 90კაპ. შესავსებელი გადასახადი 232 მან. 76 კაპ. სულ 3844 მან. 66 კაპ

**იოსელიანისა კონსტანტინე იესეს-ძის, აზნაურისა:** ორ სართულიანი სახლი და მიწა 334 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1083 მან. 54 კ., შესავსებელი გარდასახადი 118 მან. 06 კაპ. სულ 1201 მან. 60 კაპ

**ლორთქიფანიძისა, ნიკოლოზ გიორგის-ძის, თავადისა:** ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა, 667 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1625 მან. 36 კაპ., შესავსებელი გადასახადი 143 მან. 90 კაპ. სულ 1822 მან. 26 კაპ.

**აბაშიძისა, სიმონ ივანეს-ძის, თავადისა:** ორ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 750 კვად'ი. საჟ.; თავნი ვალი, 27610 მან. 91 კაპ. შესავსებელი გადასახადი 2324 მან. 85 კაპ. სულ 29,935 მან. 76 კაპ.

**ელისაბედ სიმონის ასულის ჩარექოვის მემკვიდრეთა:** ორი ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა, 3დესიატ. და 2306 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1840 მან. 71 კაპ., შესავსებელი გარდასახადი 236 მან 91 კაპ. სულ 2077 მან. 62 კაპ.

**გაბაშვილისა, ისიდორე გიორგის-ძის, აზნაურისა:** ორი ქვით-კირის ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 4 დესიატ. 102 კვადრ საჟ.; თავნი ვალი 6560 მან. 83 კაპ., შესავსებელი გადასახადი 381 მან. სულ 6941 მანეთი 83 კაპ.

**დგებუაძისა, ლუარსაბ ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა:** ორი ქვით-კირის ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 198 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2811 მან. 74 კაპ., შესავსებელი გადასახადი 252 მან. 76 კაპ.

**კანდელაკისა გერასიმე ივანეს-ძის, აზნაურისა:** ორი ქვით-კირის ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 162 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 3936 მან. 42 კაპ., შესავსებელი გადასახადი 318 მან. 10 კაპ. სულ 4254 მან. 52 კაპ.

**კიკიანისა, ტასია, გლახუას ასულის, აზნაურისა:** ორი ხის ერთ სართულიანი სახლი და მიწა 144 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 168 მან. 61 კაპ., შესავსებელი გადასახადი 36 მან. 50 კაპ. სულ 505 მან. 11 კაპ.

**კანდელაკისა, დომენტი სიმონის-ძის, აზნაურისა:** ორ სართულიანი სახლი და მიწა, 353 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 937 მან. 25 კაპ., შესავსებელი გადასახადი 109 მან. 15 კაპ. სულ 1046 მან. 40 კაპ.

**ლორთქიფანიძისა, გიორგი როსტომის-ძის თავადისა:** ერთ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 369 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2811 მან. 74 კაპ., შესავსებელი გადასახადი 159 მან. 16 კაპ. სულ 2970 მან. 90 კაპ.

**მარჯანოვისა, კონსტანტინე ანდრიას-ძის, აზნაურისა:** ერთ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 1800 კვადრ საჟ. თავნი ვალი 2530 მან. 58 კაპ., შესავსებელი გადასახადი 249 მან. 36 კაპ. სულ 2779 მან. 94 კაპ.

**მაისუროვისა, პელაგია იოსების ასულის;** ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა, 172 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 749 მან. 80 კაპ. შესავსებელი გადასახადი 55 მან. 15 კაპ. სულ 804 მან. 95 კაპ.

**ჯამკარიანისა, ტარიელ გიორგის-ძის, მოქალაქისა:** ერთ სართილიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 225 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2754 მან. 81 კაპ.; შესავსებელი გადასახადი 160 მან. 62 კა. სულ 2735 მან. 43 კაპ.

**კახნიეიშვილისა, იაკობ ივანეს-ძის, მოქალაქისა:** ორი ქვით-კირის ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 226 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5721 მან. 82 კაპ., შესავსებელი გადასახადი 419 მან. 87 კაპ. სულ 6141 მან. 69 კაპ.

**ლენჩევსკისა, ვლადიმერ ანტონის-ძისა:** ორი ქვით-კირის ორ სართულიანი სახლი და მიწა, 303 კვადრ საჟ.; თავნი ვალი 14,304 მან. 55 კაპ. შესავსებელი გადასახადი 1010 მან. 46 კაპ. სულ 15,315 მან. 01 კაპ.

**ხელთუფლიშვილისა, თეოდოსია ფირანის ასულის, აზნაურისა:** თორმეტი ერთ სართულიანი ქვით-კირის დუქნები და მიწა, 195 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 14,304 მან. 55 კაპ., შესავსებელი გადასახადი 942 მან. 72 კაპ. სულ 15,247 მან. 27 კაპ.

**ჩარკვიანისა ეკატერინა, ანდრიას ასულის:** ორ სართულიანი სახლი და მიწა, 423 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 762 მან. 91 კაპ., შესავსებელი გადასახადი 52 მან. 40 კაპ. სულ 814 მან. 31 კაპ.

**ჩხეიძისა, ევგენია ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა:** ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 1052 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5,817 მან. 30 კაპ., შესავსებელი გარდასახადი 328 მან. სულ 6145 მან. 35 კაპ.

### 3 წლიანნი სესხნი.

**ხუბეროვისა ატო ფარსადანის-ძის მოქალაქისა:** ორ სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 410 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2000 მან. შესავსებელი გარდასახადი 386 მან. 35 კაპ. სულ 2386 მან. 35 კაპ.

**შურადოვისა ისაак ივანეს-ძის, მოქალაქისა:** ორ სართულიანი ქვით-კირის სახლი და ოთხი ერთ სართულიანი ქვით-კირის დუქნები და მიწა, $18^1/_4$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4000 მან. შესავსებელი გადასახადი 205 მან. 39 კაპ. სულ. 4205 მან. 39 კაპ.

**გაბაშვილისა, მაქსიმე გიორგის-ძის, აზნაურისა:** ორი ნაკვეთი მიწა 2 დესიატინი 708 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2000 მან. შესავსებელი გადასახადი 100 მან. 97 კაპ. სულ 2100 მან. 97 კაპ.

## ქ. თფილისს.

### $18^7/_{12}$ წლიანნი.

**ყარაევისა ანტონ იაკობის-ძის, ნადვორნი სოვეტნიკის:** სამი ქვით-კირის ორ სართულიანი სახლი და მიწა, 852 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 81,442 მან. 20 კაპ., შესავსებელი გადასახადი 4, 462 მან სულ 85,904 მან. 20 კაპ.

ვაჭრობა დაიწყება ზემო აღნიშნულის თავნი ვალიდამ ზედ დამატებული სხვა და სხვა შეუსრულებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზედ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რაიცა ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზედ გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სავედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთა მამულთა აღწერილობის და საბუთების გინხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24§ საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 8 იანვარს მომავლის 1882 წლისა, იმავე ბანკის სამმართველოში.

(3—1)

Дозволено цензурою Тифлисъ, 12 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი